



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

13 დეკემბერი 2023



N 706/ს

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდ. საშულაზე შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 2,25 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის („საშულა ჰესი“), 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის და 35 კვ ძაბვის ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ეგზ-ის საკაბელო მონაკვეთის ნაწილის საჰაერო მონაკვეთით ჩანაცვლება) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდ. საშულაზე 2,25 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის („საშულა ჰესი“), 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის და 35 კვ ძაბვის ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ეგზ-ის საკაბელო მონაკვეთის ნაწილის საჰაერო მონაკვეთით ჩანაცვლება) სკრინინგის განცხადება.

2021 წლის 13 ოქტომბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდ. საშულაზე შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 2,25 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის („საშულა ჰესი“), 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის და 35 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1453).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2,25 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „საშულა ჰესი“ მოწყობილია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდ. საშულაზე, ზღვის დონიდან 1060-1240 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე. ჰესის შემადგენლობაში შედის: სათავე ნაგებობა (ტიროლის ტიპის წყალმიმღები, სალექარი, უქმი წყალსაგდები და თევზსავალი), 1889 მეტრი სიგრძის სადაწნეო მილსადენი და ძალური კვანძი, ასევე, 35 კვ ძაბვის ქვესადგური. ქვესადგურიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის ჩართვა, 3,5 კმ სიგრძისა და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის საშულალებით, გათვალისწინებულია „საშულა 1 ჰესის“ 35 კვ სიმძლავრის ქვესადგურში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, დაიგეგმა „საშულა ჰესის“ ქვესადგურიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის „საშულა 1 ჰესის“ ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის საწყისი და ბოლო მონაკვეთის მიმართულების

ცვლილება, ასევე, ეგზ-ის ორი საკაბელო მონაკვეთის საჰაეროთი ჩანაცვლება (საერთო სიგრძე 1171 მეტრი), რისთვისაც გათვალისწინებულია 7 ერთეული საყრდენი. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 4 კმ-ზე მეტი მანძილით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ეგზ-ის საკაბელო მონაკვეთი დაიწყება „საშუალა ჰესის“ შენობაში განთავსებული 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობიდან და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გაუყვება „საშუალა ჰესის“ შენობასთან მისასვლელ გზას. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მცირედით შეიცვლება ეგზ-ის საწყისი საკაბელო მონაკვეთის (522 მეტრი) დერეფნის მიმართულება. აღნიშნულის შემდგომ, ეგზ-ის საკაბელო მონაკვეთი ჩანაცვლდება საჰაერო მონაკვეთით (893 მეტრი), რისთვისაც მოეწყობა 4 საყრდენი (საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატები: X-273557.32998, Y-4642811.04897; X-273047.154016, Y-4643417.68213). №4 საყრდენიდან ეგზ დაუბრუნდება საბაზისო პროექტით გათვალისწინებულ დერეფანს, გაგრძელდება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით კვლავ საკაბელო მონაკვეთით (1 355 მეტრი) და დასრულდება №5 საყრდენთან (საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატები: X-273047.154016, Y-4643417.68213; X-272076.439978, Y-4644031.86705). №5 საყრდენიდან ეგზ-ის საკაბელო მონაკვეთი ჩანაცვლდება საჰაერო მონაკვეთით (278 მეტრი), რომელიც გაივლის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით და №6-№7 საყრდენებს შორის გადაკვეთს მდ. საშუალას (საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატები: X-272076.439978 Y-4644031.86705; X-271867.725496 Y-4644215.93655). №7 საყრდენიდან ეგზ კვლავ გაგრძელდება საკაბელო მონაკვეთით (167 მეტრი) ჯერ ჩრდილო-დასავლეთის, ხოლო შემდგომ სამხრეთის მიმართულებით და დაუერთდება „საშუალა 1 ჰესის“ შენობაში განთავსებულ 35 კვ ძაბვის ქვესადგურს. ეგზ-ის საერთო სიგრძე იქნება 3215 მეტრი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო საჰაერო მონაკვეთების გასაცვანად გათვალისწინებული №1 საყრდენი იქნება „Y35t-1“ ტიპის, №2-3 საყრდენები – „Y35-2t-3TP“ ტიპის, №4, №5 და №7 საყრდენები – „AYT30T-8.5“ ტიპის, ხოლო №6 საყრდენი – „AYT30T“ ტიპის. მათი საძირკვლები შერჩეულია საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე. უნიფიცირებული საყრდენების საძირკვლებად გამოყენებული იქნება ანაკრები რკ/ბეტონის სოკოსებრი ბლოკები, „7271TM“ ტიპური პროექტის მიხედვით. საყრდენების კონსტრუქციის მასალად გათვალისწინებულია „Бет3иц5“ მარკის ფოლადი. საყრდენებზე განთავსდება 3 ფაზა „AC-120/27“ მარკის ფოლად-ალუმინის ელექტროსადენი და დამონტაჟდება 24 წვერიანი „OPGW – 1C 1/24B4 (0/51-17.2)“ მარკის საჰაერო ოპტიკურ-ბოჭკოვანი გვარლი, შესაბამისი სახაზო არმატურით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებთან. საწყის ეტაპზე საპროექტო ტერიტორიის მცირე ნაწილზე მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მომზადდება ტრანშეა და საძირკვლები, რის შემდგომაც განთავსდება საპროექტო საყრდენები და ელექტროსადენები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, სამშენებლო ბანაკისა და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის და სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოყენებული იქნება შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ „საშუალა ჰესების კასკადის“ სამშენებლო ბანაკი. საპროექტო ექვს საყრდენთან (№1, №2, №4, №5, №6, №7) დაკავშირება მოხდება „საშუალა ჰესის“ არსებული საექსპლუატაციო გზით, ხოლო №3 საყრდენთან – „საშუალა ჰესების კასკადის“ ფარგლებში გათვალისწინებული სადაწნეო მილსადენის საექსპლუატაციო გზით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული

წყაროები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო სამუშაოებში ჩართული ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ეგზ-ის დერეფნის ძირითად ნაწილზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის, ხოლო მცირე ტერიტორიაზე მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა მოხდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ეგზ-ის მიწისქვეშა მონაკვეთის მიწისზედათი ჩანაცვლებით შემცირდება ექსკავირებული გრუნტის რაოდენობა. საპროექტო საყრდენების განთავსებისთვის ამოღებული გრუნტის (დაახლოებით 3500 მ<sup>3</sup>) 80-85% გამოყენებული იქნება უკუყრისთვის, ხოლო დარჩენილი ნაწილი განთავსდება „საშუალას ჰესების კასკადის“ ფუჭი ქანების სანაყაროზე ან გამოყენებული იქნება საექსპლუატაციო გზების მოპირკეთებისათვის.

დოკუმენტში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. საყრდენების განთავსების მოედნებზე გაყვანილ იქნა 5 მეტრი სიღრმის 7 ჭაბურღილი, რომლებშიც გრუნტის წყლები არ გამოვლენილა. შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ საკვლევ არეალში ფიქსირდება 3 ძირითადი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე). სგე 1 წარმოდგენილია მყარი კონსისტენციის თიხნარი გრუნტით, სგე 2 – ალუვიური წარმოშობის მსხვილნატეხოვანი გრუნტით, ხოლო სგე 3 – ძლიერ გამოფიტული და დანაპრალიანებული ტუფოქვიშაქვებით. გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება III (რთული) კატეგორიას. საყრდენების განთავსების და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიკური პროცესების ჩასახვა-განვითარების კვალი არ ფიქსირდება.

როგორც უკვე აღინიშნა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული მეორე საჰაერო მონაკვეთი (278 მეტრი), №6-№7 საყრდენებს შორის, გადაკვეთს მდ. საშუალას. მდინარის კალაპოტიდან უახლოესი საყრდენი (№7) მოეწყობა მდ. საშუალას მარცხენა ნაპირის პირველ ტერასაზე, სადაც მდინარის კალაპოტისა და საყრდენის განთავსების წერტილის ნიშნულებს შორის სიმაღლეთა სხვაობა შეადგენს 4,76 მეტრს, ხოლო მათ შორის არსებული დაშორება – 10-15 მეტრს. დოკუმენტის თანახმად, აღნიშნულ მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას დაცული იქნება „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილების მოთხოვნები. ამასთან, მდინარის კვეთაზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას გათვალისწინებული იქნება გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებები.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. თუმცა, საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობიდან (42

967 მ<sup>2</sup>) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, 30 604 მ<sup>2</sup> წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს (ჩოხატაურის სატყეო უბანი, ჩოხატაურის სატყეო, კვარტალი №6, 12 და 17). სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კორესპონდენციის შესაბამისად, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საჰაერო ეგზ-ის ექსპლუატაციის ეტაპზე ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედება, სადაც განხილულია საყრდენებთან და ელექტროსადენებთან ფრინველების და ღამურების შეჯახება. დოკუმენტის თანახმად, ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, საპროექტო და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ხელფრთიანთა 14 სახეობაა გავრცელებული, თუმცა, გზმ-ის ეტაპზე ჩატარებული საველე კვლევებისას ფულუროიანი ხეები, რომლებიც ღამურების გამოსაზამთრებელ ან/და დროებით ადგილსამყოფლებს წარმოადგენს, საკვლევ არეალში არ დაფიქსირებულა. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ღამურებს უჭირთ 0,3 მმ-ზე მცირე დიამეტრის მქონე სადენების და მავთულხლართების შემჩნევა, თუმცა, ვინაიდან, ეგზ-ის საჰაერო მონაკვეთისთვის განკუთვნილი სადენების დიამეტრი მნიშვნელოვნად აღემატება 0,3 მმ-ს, ღამურების სადენებთან შეჯახების ალბათობა მცირეა. რაც შეეხება ორნითოფაუნას, აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე გადის ფრინველთა ერთ-ერთი სამიგრაციო მარშრუტი და ამასთან, საკვლევ არეალი ექცევა საქართველოში ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილების ფარგლებში (Important Bird Areas). დოკუმენტში ორნითოფაუნაზე მოსალოდნელ ნეგატიურ ზემოქმედებად განხილულია ეგზ-ის საყრდენებთან შეჯახებით ფრინველთა დაზიანება/დაღუპვა და ელექტროსადენებზე დენის დარტყმით ფრინველთა დაზიანება/დაღუპვა. სადენები განსაკუთრებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს მძიმე სხეულისა და გრძელი ფრთების მქონე ფრინველებისათვის, რადგან მათ მოსალოდნელი დაბრკოლებების მიმართ დაგვიანებული რეაქციები ახასიათებთ. სადენებთან შეჯახების რისკი იზრდება ისეთ ადგილებში, სადაც ხდება მრავალი სახეობის თავშეყრა (მიგრაციის დერეფნები). ამასთან, სადენებთან შეჯახების ალბათობაზე გავლენას ახდენს სიბნელე და ცუდი კლიმატური პირობები, როგორცაა წვიმა, ნისლი და თოვლი, რაც ეგზ-ს უფრო მეტად შეუმჩნეველს ხდის. სკრინინგის განცხადების მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ ეგზ-ის საჰაერო მონაკვეთების საერთო სიგრძე შეადგენს 1171 მეტრს, ორნითოფაუნაზე და ხელფრთიანებზე მოსალოდნელი ზემოქმედების რისკი (ეგზ-ის საყრდენებთან შეჯახებით ფრინველთა დაზიანება/დაღუპვა) არ იქნება მაღალი. დოკუმენტის თანახმად, ელექტროსადენებზე დენის დარტყმით ფრინველთა დაზიანების/დაღუპვის რისკის შემცირების მიზნით, გატარდება შემდეგი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებები: უზრუნველყოფილი იქნება ელექტროსადენების უსაფრთხო მანძილით (1,5 მ) დაშორება; ჩატარდება ელექტრული ველით გამოწვეული სიკვდილიანობის მონიტორინგი; გამოვლინდება მაღალი რისკის უბნები, სადაც ყოველ 9 მეტრში განთავსდება დამაფრთხობელი მოწყობილობები; ღამურების ბუნებრივ ჰაბიტატში, ეგზ-იდან მოშორებით (500 მ-დან 1 კმ რადიუსის ფარგლებში) მოეწყობა ხელოვნური სამყოფლები („Bat Boxes“). სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ეგზ-ის საჰაერო მონაკვეთების საპროექტო პარამეტრებისა და დაგეგმილი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ეგზ-ის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ფრინველებსა და ხელფრთიანებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბის, მახასიათებლებისა და დაგეგმილი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედების მნიშვნელოვან ზრდასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდ. საშუალაზე შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 2,25 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის („საშუალა ჰესი“), 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის და 35 კვ ძაბვის ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (ეგხ-ის საკაბელო მონაკვეთის ნაწილის საჰაერო მონაკვეთით ჩანაცვლება) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 13 ოქტომბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1453) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობა შეათანხმოს სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;
4. შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ ვალდებულია, ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის ეტაპზე, მონიტორინგის წარმოების პროცესში, უზრუნველყოს ხელფრთიანებზე და ფრინველებზე სამონიტორინგო დაკვირვება ელექტროსადენებსა და საყრდენებთან შეჯახებით დამდგარ ზიანთან მიმართებით და მიღებული შედეგების, კვარტალში ერთხელ, სააგენტოში წარმოდგენა, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;
5. შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიასთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2021 წლის 13 ოქტომბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1453) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

